

შიდა კორპორაციული კონფლიქტები საშუალო ზომის ორგანიზაციებში და
მათი გადაჭრის პრაქტიკა საქართველოში

ია არევაძე

თამარ არველაძე

დიანა დიდებულიძე

*სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის სკოლაში*

პროექტის ხელმძღვანელი: სოფიო ლებანიძე, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ია არევაძე

თამარ არველაძე

დიანა დიდებულიძე

28.06.2019

აბსტრაქტი

შიდა კორპორაციული კონფლიქტები საშუალო ზომის ორგანიზაციებში დღითიდღე იზრდება. წარმოიქმნება ინტერესთა დაპირისპირება და ვხვდებით როგორც პიროვნებათშორის - ისე ჯგუფთაშორის კონფლიქტებს. ორგანიზაციაში დაძაბული ვითარების ფონზე ხშირია კვალიფიციური კადრების შევიწროება და გადინება, იშვიათობას წარმოადგენს ისეთი გარემო, რომელშიც თანამშრომლები თავს კომფორტულად იგრძნობენ. ყოველივე ეს ორგანიზაციის წარმატებულ ფონქციონირებას უქმნის საფრთხეს. აქედან გამომდინარე, აუცილებელია შესწავლილ იქნას ის ფაქტორები, რომლებიც განაპირობებენ კონფლიქტური სიტუაციების წარმოშობას. წინამდებარე ნაშრომში განხილულია შიდა ორგანიზაციული კონფლიქტების მოგვარების საეთაშორისო პრაქტიკა, თუ როგორ უნდა აღმოფხვრა და მართო კონფლიქტური სიტუაციები. წარმოდგენილია ასევე ადგილობრივი საშუალო ზომის ორგანიზაციებში მიმდინარე კონფლიქტური სიტუაციები და მათი გადაჭრის პრაქტიკა.

ლიტერატურის გაანალიზებისა და შესწავლის შედეგად შევიმუშავეთ რეკომენდაციები, თუ რატომ უნდა მიაქციოს ორგანიზაციამ ყურადღება კონფლიქტურ სიტუაციებს, მათი წარმოშობისა და მოგვარების საკითხებს, რატომ უნდა ჰქონდეს თანამშრომლებთან სრული კომუნიკაცია და რა დეტალებზე უნდა გაამახვილოს ყურადღება კონფლიქტების მართვის მიმართულებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კონფლიქტი, კონფლიქტის მართვა, კონფლიქტის გადაჭრის გზები, ორგანიზაციები, კვლევა.

Abstract

Internal corporate conflicts are growing up everyday in the medium size of organization. There is a confrontation of interests and we meet as interpersonal conflicts as group conflicts in organizations. Due to the tension of situation it's often qualified staff to leave their job because there is no comfortable environment for work. Those all factors make bad influence on success of organization. Therefore, it's necessary to learn reasons that cause conflict situations. The present work deals with the international practice of solving internal organizational conflicts on how to eliminate and manage the conflict situation. There is also presented current conflict situations of local medium-sized organizations and practice of their methods of solving.

As a result of analysing and studying literature we made recommendation about their origin and settlement issues, why should the organisations pay attention to conflicts and why should have full communication with all employees and what details should be focused on in process of conflict management.

Keywords: conflict, conflict management, the ways of resolving conflicts, organizations, research.